



დამტკიცებულია

დირექტორი: ნათია ნოზაძე

ბრძანება N1 – 1-47 /04.10.2019/

კოლეჯი „არსის“

ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები

შინაარსი:

1. ზოგადი დებულება/ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიზანი
2. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა
3. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
4. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის კომპონენტები და შეფასების ინსტრუმენტები
5. გარე ფაქტორების ანალიზი;
6. ხარისხის უზრუნველყოფის შედეგები და ანგარიშის გამოყენება;

I ზოგადი დებულება/ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიზანი

1. მოცემული დოკუმენტის დანიშნულებაა კოლეჯი „არსის“ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების შეფასების წესის მეთოდური და შინაარსობრივი საფუძვლის შექმნა; შეფასების სისტემის ელემენტების, შეფასების სისტემის განხორციელების პროცედურების დადგენა და შეფასების შედეგების ანალიზის შესაძლებლობა;

2. საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების შეფასებას საფუძვლად უნდა დაედოს შემდეგი ძირითადი პრინციპები: ა) შეფასების ობიექტურობა; ბ) შეფასების პროცესის გამჭვირვალობა; გ) შეფასების შედეგების საჯაროობა; დ) შეფასების დამოუკიდებლობა;

II ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა

1. კოლეჯი „არსის“ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს დემინგის ციკლის პრინციპით - „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, იმოქმედე“, კერძოდ:

ა) დაგეგმე - Plan: ყოველწიურად /კოლეჯის ახალი სასწავლო წლის დასაწყისში/ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი იწყება დაგეგმვით, რა დროსაც ხდება არსებული მოცემულობის - სასწავლო პროცესის/ პროგრამების შესაფასებელი კომპონენტების მონიშვნა, შეფასების მიმართულების და ინსტრუმენტების მორგება, მონიტორინგის პროცესის- ვადების დაგეგმვა.

ბ) განახორციელე- Do: შემდეგ ეტაპზე ხდება დაგეგმვის პროცესში მონიშნული აქტივობების კონკრეტული განხორციელება;

გ) შეამოწმე - Check: ხდება განხორციელებული ცვლილებების შედეგებზე დაკვირვება და შესაბამისად გამოყენებული მექანიზმების შეფასება; ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოჩენა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ნაბიჯების დაგეგმვა;

დ) განავითარე - Act: შეფასების შედეგად მიღებული შედეგების საფუძველზე საჭირო ცვლილებების განხორციელება (გამოყენებულ მექანიზმებთან ან ჩატარებულ ქმედებებთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტების, შეფასების ინსტრუმენტების და ა.შ. გადახედვა, საჭიროების შემთხვევაში განახლება და დამტკიცება პროცესის დახვეწის მიზნით, ან კვლავ ალოჩინილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ნაბიჯების გადადგმა).

III ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

1. ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე კოლეჯ „არსში“ პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი, რომლის ფუნქცია-მოვალეობები რეგულირდება კოლეჯი „არსის“ წესდებით გაწერილ ხარისხის მართვის დებულებით (თავი 7);

2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება განხორციელდება ყოველწლიურად. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შედეგებს წარუდგენს დირექტორს; შეფასების შედეგები განიხილება კოლეჯის დირექტორთან და სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად, რის შემდეგაც მიიღება გადაწყვეტილებები ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;

IV ხარისხის შიდა უზრუნველყოფის კომპონენტები და შეფასების ინსტრუმენტები

სწავლების ხარისხის შეფასებისთვის მოწმდება:

1. საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტები;
2. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, პიროვნული და პროფესიული მახასიათებლების შეფასება, პროფესიული მასწავლებლის სასწავლო მეთოდები, სასწავლო პროცესის დაგეგმარება;
3. სასწავლო გარემო და რესურსები/ პრაქტიკის ბაზა; გარემოსა და რესურსების რელევანურობის შეფასება პროგრამის ადეკვატური განხორციელების კონტექსტში;
4. პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობა სასწავლო პროცესში; მათი უკუკავშირი კონკრეტულ მოდულთა, სასწავლო პროგრამის განხორციელების კონტექსტში;
5. კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა დასაქმების მაჩვენებლის შესწავლის გზით.

თითოეული შესაფასებელი მიმართულება ფასდება საკვანძო კომპონენტით:

1) საგანმანათლებლო პროგრამები;

ფასდება:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების შესაბამისობა კოლეჯის მისიასთან;

2. რამდენადაა გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობა რეგიონის შრომის ბაზარზე არსებულ კონტექსტში:

3. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნის შესაბამისობა სტუდენტის კომპეტენციის გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე:

4. პროგრამის განხორციელების გათვლა კონკრეტული დიაპაზონისთვის კონტიგენტისთვის / სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება;

5. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცალკეული სასწავლო კურსების/ მოდულების თანამიმდევრობის ლოგიკური ბმა და რელევანტურობა სწავლის შედეგებთან.

2) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, პიროვნული და პროფესიული მახასიათებლების შეფასება, პროფესიული მასწავლებლის სასწავლო მეთოდები, სასწავლო პროცესის დაგეგმარება;

ფასდება:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველყოფა აუცილებელი ადამიანური რესურსით/ მისი საკმარისობა და კვალიფიციურობა პროგრამის განხორციელებისთვის;

ბ) თითოეული პროფესიული მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი საკურატორო მოდულების შესაბამისი კალენდარული გეგმები; სწავლი შედეგებისთვის შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები;

გ) პროფესიული მასწავლებლის პედაგოგოგიური და პიროვნული მახასიათებლები;

დ) სასწავლო მეთოდები;

ე) სასწავლო პროცესის ორგანიზება;

ვ) საუკეთესო გამოცდილება/ მიღწეული შედეგი.

3. სასწავლო გარემო და რესურსები/ პრაქტიკის ბაზა; გარემოსა და რესურსების რელევანტურობის შეფასება პროგრამის ადეკვატური განხორციელების კონტექსტში;

ფასდება:

ა) სასწავლო პროცესის განხორციელების გარემო;

ბ) სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო ინვენტარის, მასალის საკმარისობა, ადეკვატურობა;

გ) საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სახელმძღვანელოები/ რესურსები- მათი ადეკვატურობა დარგში მიმდინარე სიახლეების კონტექსტში;

დ) პრაქტიკის განხორციელების ბაზა/ სტუდენტის მიერ პროფესიული უნარების ასათვისებლად პრაქტიკის ობიექტის მზაობა და ადეკვატური გარემოს შექმნა; ხელშეწყობის პირობების განიხრელი დაცვა;

ე) პრაქტიკის განხორციელებისას მიღებული საუკეთესო გამოცდილება/ მიღწეული შედეგი.

**4. პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობა სასწავლო პროცესში; მათი უკუკავშირი კონკრეტულ მოდულთა, სასწავლო პროგრამის განხორციელების კონტექსტში;
ფასდება:**

ა) სტუდენტის უკუკავშირი კონკრეტული მოდულის/ ზოგადად საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში;

ბ) სტუდენტის ჩართვის ხარისხი პროფესიული მასწავლებლის მიერ დასახულ სასწავლო აქტივობებში

გ) სტუდენტის უკუკავშირის რელევანტურობის ხარისხი მასწავლებლის მიერ მოწვდილ თემატიკაზე;

დ) სტუდენტის კმაყოფილების ხარისხი კონკრეტული მოდულების, ზოგადად საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში;

ე) სტუდენტის კმაყოფილების ხარისხი საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში;

ვ) სტუდენტის სხვა საჭიროებების ანალიზი პროგრამის განხორციელებისთვის უკეთესი შედეგების მისაღებად;

5. კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა დასაქმების მაჩვენებლის შესწავლის გზით.

ფასდება:

ა) კონკრეტული პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი; კურსდამთავრებულთა დასაქმების აღრიცხვა/სტატისტიკის ანალიზი;

ბ) გამოვლენილი კონკურენტუნარიანობის ხარისხი;

გ) დამსაქმებელთა კმაყოფილების ხარისხი კოლეჯის კურსდამთავრებულთა პროფესიული მახასიათებლების თაობაზე;

დ) გადამზადების საჭიროება კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობებისთვის;

ე) კურსდამთავრებულთა ხედვა/ კონკრეტული რეკომენდაცია პროფესიული უნარების გამომუშავებისთვის უკეთესი შედეგების მიღების შესახებ.

ვ) კურსდამთავრებულთა ხედვით- კოლეჯში მიღებული საუკეთესო გამოცდილება.

შეფასების ინსტრუმენტები:

1) კოლეჯი „არსის“ ხარისხის მართვის სამსახური სასწავლო პროცესის განხორციელების ანალიზისთვის იყენებს შემდეგ ინსტრუმენტებს:

- ა) მეცადინეობებზე, პრაქტიკის განხორციელების და შეფასების პროცესზე პერიოდული დასწრება/ მონიტორინგი;
- ბ) პროფესიული მასწავლებლების, სტუდენტების, სოციალური პარტნიორების გამოკითხვა შესაბამისად შემუშავებული ანკეტა-კითხვარების მეშვეობით.

V გარე ფაქტორების ანალიზი;

ფასდება:

- ა) ანალოგიური პროგრამის განმახორციელებელი სხვა დაწესებულების გამოცდილება პროგრამის განხორციელების ფარგლებში;
- ბ) სხვა სასწავლებლის პარტნიორობა და დასაქმების მაჩვენებელი;
- გ) პროგრამის კონკურენტუნარიანობის და ცალკეული კომპონენტების ხარისხი მშობლიური კოლეჯის და სხვა კოლეჯის კონტექტში;
- დ) სხვა კოლეჯის საუკეთესო შედეგის გამოცდილება.
- ე) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხრიდან კოლეჯისთვის კონკრეტული პროგრამისთვის მიღებული რეკომენდაციები/ გადაწყვეტილებები;

VI ხარისხის უზრუნველყოფის შედეგები და ანგარიშის გამოყენება;

კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის მხრიდან სასწავლო პროცესის განხორციელების ხარისხის შეფასება ციკლური ხასიათისაა, იგი ხორციელდება სასწავლო პროცესის დასაწყისიდან სასწავლო წლის ბოლომდე; სასწავლო წლის დასრულების შემდეგ კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი და კოლეჯის ადმინისტრაცია განიხილავს ჩატარებული კვლევების შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.